

შპს ჯიემსი მოტორსი GMC Motors

ს/კ 404447103

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის,

რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

შპს „ჯიმსი მოტორსი GMC Motors “ ს/კ 404447103

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

შპს „ჯიემსი მოტორსი GMC Motors“ ს/კ 404447103

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	995732	5185104	2589603
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35019	1643670	272988
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3226363	5772266	885526
მარაგები	8583855	5027038	5403802
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	8583855	5027038	5403802
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	42343	917170	66496
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	4359	5999	5151
ძირითადი საშუალებები	429553	225885	139017
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	13317224	18777132	9362583

ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	10967	2754	2700
სავაჭრო ვალდებულებები	606388	6160057	540360
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	908500	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	378	0	0
სულ ვალდებულებები	617733	7071311	543060
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	6774	129715	116000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	12692717	11576106	8703523
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	12699491	11705821	8819523
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13317224	18777132	9362583
სულ მოკლევადიანი აქტივები	12883312	18345062	9033589
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	617733	7071311	543059

დირექტორი:

ენრიკო იაკობაშვილი

მთავარი ბუღალტერი:

მაია ლომთათიძე



შპს „ჯიემსი მოტორსი GMC Motors“ ს/კ 404447103

მოგებისა და ზარალის და და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	17027528	16085006
საქონლის გაყიდვიდან	16970558	16049976
მომსახურების გაწევიდან	56970	35030
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-13342175	-11802158
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	3685353	4282848
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	6902
დასაქმებულთა ანაზღაურება	-274600	-238026
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-66644	-46324
საპროცენტო შემოსავალი	13918	15360
საპროცენტო ხარჯი	-25779	-35588
იჯარის ხარჯი	-30838	-24410
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-139976	-126386
სულ საოპერაციო ხარჯები	-523919	-448472
საოპერაციო მოგება	3161434	3834376
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0

მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-587593	-165480
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	28961	12359
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2602802	3681255
მოგების გადასახადის ხარჯი	-222929	-121304
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2379873	3559951
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2379873	3559951
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	11705821	8819523
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1263262	-687368
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-122941	13715
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	12699491	11705821

დირექტორი:

ენრიკო იაკობაშვილი

მთავარი ბუღალტერი:

მაია ლომთათიძე



შპს „ჯიმსი მოტორსი GMC Motors“ ს/კ 404447103

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-3964166	2071833
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	214104	269215
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-3750062	2341048
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-439310	254453
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5185104	2589603
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	995732	5185104

დირექტორი:

ენრიკო იაკობაშვილი

მთავარი ბუღალტერი:

მაია ლომთათიძე



2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯიემსი მოტორსი GM Motors

ს/კ 404447103 დაარსდა 2013 წლის 27 მაისს მდებარეობს საქართველოში და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი და 100 %-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ენრიკო იაკობაშვილი პ/ნ 01015003628

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იმპორტი ,რეალიზაცია და სერვისი

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, თონეთის მოედანი, N 5

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა: საქართველო, თბილისი, კახეთის გზატკეცილი მე 12 კილომეტრი

კომპანიის საქმიანობის ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა.

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976

ამონაგების აღირება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი;

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება საქონლის გაყიდვის ან იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	995732	5185104	2589603

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და სალაროში .

2. სავაჭრო მოთხოვნები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35019	1643670	272988

კომპანიამ საქმიანობის გაწევა დაიწყო 2013 წლიდან. მის მომხმარებლებს და მომსახურეობის მიმღებ პირებს წარმოადგენენ ძირითადად ფიზიკური პირები და კომპანიები , რომლებიც ეწევიან სასოფლო სამეურნეო საქმიანობას . კომპანია აკვირდება დებიტორული დავალიანების დაფარვის ტენდენციას და საჭიროების შემთხვევაში პერიოდის ბოლოს საეჭვო მოთხოვნებზე ანარიცხებს ქმნის.

3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3226363	5772266	885526

გადახდილი ავანსები ძირითადად წარმოადგენს სარეალიზაციო საქონლისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს.

4. მარაგები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
მარაგები	8583855	5027038	5403802

მარაგები შეიცავს სარეალიზაციოდ განკუთვნილ აქტივებს და საკუთარი ხარჯებისათვის შეძენილ საქონელს.

5. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
სხვა მოკლევადიანი აქტივები	42343	917170	66496

სხვა მიმდინარე მოკლევადიან აქტივს ძირითადად წარმოადგენს ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები.

6. სხვა არამატერიალური აქტივები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
სხვა არამატერიალური აქტივები	4359	5999	5151

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს - პროგრამული უზრუნველყოფები, რომელთა ვადა სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება 1 -დან 10 წლამდე.

7. ძირითადი საშუალებები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ძირითადი საშუალებები	429553	225885	139017

კომპანიის ძირითადი საშუალებებს წარმოადგენს ნაგებობები , სატრანსპორტო საშუალებები , ოფისის აღჭურვილობა , ავეჯი , სამუშაო ინსტრუმენტები და იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ხარჯები.

8 . სავაჭრო ვალდებულებები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
სავაჭრო ვალდებულებები	606388	6160057	540360

სავაჭრო ვალდებულებები შედგება მიმდინარე ვალდებულებებისგან , რომელიც ძირითადად შეიცავს ავანსად მიღებულ თანხებს და მიღებულ მომსახურებას.

9. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	908500	0

კომპანია სარგებლობს სს საქართველოს ბანკის საკრედიტო ხაზით

10. კაპიტალი

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
სულ საკუთარი კაპიტალი	12699491	11705821	8819523

2022 წელს დამფუძნებლებმა კრების ოქმის საფუძველზე განაწილდა დივიდენტი 1263262 რომლის მოგების გადასახადი 222929 ლარი გადახდილი იყო ბიუჯეტში

11. ამონაგები

ნეტო ამონაგები	17027528	16085006
საქონლის გაყიდვიდან	16970558	16049976
მომსახურების გაწევიდან	56970	35030

კომპანიის ძირითადი შემოსავალი ფორმირდება სასოფლო სამეურნეო ტექნიკის გაყიდვით და ამ ტექნიკის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით.

12. დასაქმებულთა ანაზღაურება

	31/12/2022	31/12/2021
დასაქმებულთა ანაზღაურება	274600	238026

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 17-22 თანამშრომელს.

13. საპროცენტო ხარჯი

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
საპროცენტო ხარჯი	-25779	-35588

აღნიშნული საპროცენტო ხარჯი შეადგენს ბანკის სესხის პროცენტის ხარჯს.

14. იჯარის ხარჯი

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
იჯარის ხარჯი	-30838	-24410

კომპანია საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებულ ფართში.

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	31/12/2022	31/12/2021
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-139976	-126386

ხარჯები მოიცავს , კომუნალური , კომუნიკაციის , სარელამო , მიღებული მომსახურების და სხვა ხარჯებს

16. უცხოური ვალუტის გავლენა ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებზე

2022 2021

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-587593	-165480
--	---------	---------

ფინანსური ანგარიშების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2023 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: -----

